1 2 3 4 5 6 7 8

37.80

5.90 | 2.90 | 5.55 | 5.50 | 5.55 | 5.50 | 6.50

3.00 | 2.80 | 5.60 | 19.00 | 6.20

ე დ გ ბ ა

24 კვტ.

600*1300 მმ
600*1000 მმ
600*1400 მმ
600*600 მმ
600*800 მმ
+21.50
DOWN

24 კვტ.

6.10



ობიექტის მისამართი:	პროექტის სახელწოდება:	ნახაზის დასახელება:	თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა				
ქ. თბილისი, ვანის ქუჩა №6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გათბობა-ვენტილაციის პროექტი	გათბობა-ვენტილაციის გეგმა +24.80 ნიშნულზე	შეასრულა	გ. კაპიძე		მასშტაბი		ფურცელი	ფურცელი №
						ფორმატი			
						თარიღი	2022 წ.	გვერდი	



ობიექტის მისამართი:	პროექტის სახელწოდება:	ნახაზის დასახელება:
ქ. თბილისი, ვანის ქუჩა №6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გათბობა-ვენტილაციის პროექტი	გათბობა-ვენტილაციის გეგმა +28.10 ნიშნულზე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა				
შეასრულა	გ. პაპიძე	[signature]	მასშტაბი		ფურცელი	ფურცელი №
			ფორმატი			
			თარიღი	2022 წ.	გვერდი	

შპს „გეოტრანსპროექტი“

ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში

დირექტორი /ა. ხარებავა/

თბილისი – 2022

ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

სარჩევი

ტექსტი

1. შესავალი - 1-2
2. ოროგრაფია და ჰიდროგრაფია - 2
3. კლიმატი - 2-3
4. გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია - 3-4
5. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები - 4
5.1. საკვლევი უბნის ფარგლებში გავრცელებული გრუნტების დახასიათება - 4-5
5.2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები - 5-6
6. დასკვნები და რეკომენდაციები - 6-7

დანართები

7. დანართი-1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობითი ნიშნები
8. დანართი-2 ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები
9. დანართი-3 გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის ცხრილი
10. დანართი-4 თიხური გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ცხრილები
11. დანართი-5 კლდოვანი ქანის სიმტკიცის მაჩვენებლები წერტილოვანი დატვირთვით
12. დანართი-6 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი
13. დანართი-7 გრუნტის წყლის ქიმიური შემადგენლობა და აგრესიულობა
14. დანართი-8 ჭაბურღილების განლაგება საკვლევ უბანზე
15. დანართი-9 გრძივი გეოლოგიური ჭრილები

ანგარიში

ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 01.13.06.008.006) საინჟინრო– გეოლოგიური გამოკვლევა

1. შესავალი

ამა წლის ნოემბრის თვეში შპს „გეოტრანსპროექტ“-ის მიერ შედგენილ იქნა საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში შპს „თ.ლ.თ.-ს შეკვეთის შესაბამისად, მათ მიერ ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის მასალების საფუძველზე.

გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების: „Инженерные изыскания для строительства“. Основные положенияю СНиП-11-02-96, „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“(პნ02.01-08) და „სამშენებლო კლიმატოლოგია“(პნ01.05-08) მოთხოვნების შესაბამისად და მონაცემების საფუძველზე.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა საპროექტო ნაგებობის ქვეშ გავრცელებული გრუნტების შესწავლა, როგორც საძიებო გამონამუშევრის გაყვანით, ასევე საინჟინრო-გეოლოგიურ ლაბორატორიაში მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრით, აგრეთვე გრუნტის წყლის აგრესიულობის განსაზღვრა ბეტონის და რკინა-ბეტონის მიმართ. ამისათვის გაბურღილ იქნა ორი ჭაბურღილი თითოეული 12.00 მ-ის სიღრმით. აღებულ დაუშლელი სტრუქტურის გრუნტის 5 ნიმუში, დაშლილი სტრუქტურის გრუნტის 2 ნიმუში და გრუნტის წყლის 1 სინჯი.

ადგილმდებარეობის ვიზუალური დათვალიერების, ბურღვის მონაცემების, გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების და

საფონდო მასალების კამერალური დამუშავების შედეგად შედგენილია: პირობითი ნიშნები (დანართი 1); გეოლოგიურ-ლითოლოგიური ბარათები (2 ფურცელი); თიხური გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები (დანართი 3); გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის ცხრილი (დანართი 4); კლდოვანი ქანის სიმტკიცის მაჩვენებლები წერტილოვანი დატვირთვით (დანართი 5); გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი (დანართი 6); გრუნტის წყლის ქიმიური შემადგენლობის და აგრესიულობის შედეგები (დანართი 7); უბნის გეგმა საძიებო ჭაბურღილებით (დანართი 8); საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი (დანართი 9) და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

2. ოროგრაფია და ჰიდროგრაფია

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება თრიალეთის ანტიკლინური ქედის ეროზიულ-დენუდაციურ რელიეფს და მდებარეობს მდ. მტკვრის I ჭალისზედა ტერასის ფარგლებში. აბსოლუტური ნიშნულები მერყეობს 414.0–415.0 მ-ის ფარგლებში.

თბილისის ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარ არტერიას წარმოადგენს მდ.მტკვარი მისი შენაკადებით: ვერე, დიღმისწყალი, დაბახანკა, ვარაზისხევი(მარჯვენა შენაკადები) და გლდანულა, ხევძმარა. საცხენისწყალი(მარცხენა შენაკადები), რომლებიც საკმაოდ არიან დაცილებული საკვლევი უბნიდან და ვერ ახდენენ მასზე ზეგავლენას.\

3. კლიმატური პირობები

თბილისის კლიმატი ხასიათდება ზომიერად მშრალი ჰავით – მოკლე, ნაკლებად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. საკვლევი უბნის

ფარგლებში კლიმატური პირობები უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის (თბილისი, დიდუბე) მონაცემების მიხედვით ასეთია:

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +12.4 ^{0}C, ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა არის +0.7^{0C}, ყველაზე ცხელის – აგვისტოსი კი +24.4^{0}C; ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმია -24^{0}C, აბსოლიტური მაქსიმუმი კი +40^{0C}C;

ჰაერის საშუალი წლიური ფარდობითი ტენიანობა 66%; იანვრის თვეში არის 73% (საშუალო), აგვისტოში კი 57%. აბსოლიტური მინიმუმი 56% (ივლისი), ხოლო აბსოლიტური მაქსიმუმი 77% (ნოემბერი).

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე არის – 3.5 მ/წმ. მოსალოდნელი მაქსიმალური სიჩქარე: წელიწადში ერთხელ – 24 მ/წმ, 10 წელიწადში ერთხელ – 30 მ/წმ, 20 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ. ქარის წნევა 5 წელიწადში ერთხელ – 0.48 კპა, 15 წელიწადში ერთხელ 0.60 კპა.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ. ნალექების დღეღამური მაქსიმუმი – 146 მმ-ია. თოვლის საფარიანი დღეების რაოდენობა არის – 15. თოვლის საფარის წონა 0.50 კპა.

ნიადაგის ჩაყინვის სიღრმე ნებისმიერი გრუნტისათვის არის 0 სმ.

4. გეოლოგიური აგებულება, საინჟინრო–გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები

გეოტექტონიკური თვალსაზრისით ქ. თბილისი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. საკვლევი უბანი მდებარეობს ლისის ანტიკლინის ფარგლებში.

ლითოლოგიურად ის წარმოდგენილია ზედა ეოცენური ასაკის ფლიშური ნალექებით (საკმაოდ სქელშრეებრივი ქვიშაქვებით და არგილიტების შუაშრეებით -P_2^3), რომლებიც ზევიდან გადაფარულია სხვადასხვა სიმძლავრის ალუვიურ-დელუვიური-პროლუვიური ნალექებით.

ნორმატიული დოკუმენტის „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ01.01-09) მიხედვით რაიონი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17-ს.

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის საინჟინრო-გეოლოგიური ოლქის პალეოგენურ-ნეოგენური ასაკის კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი, ქვიშაქვოვან-სუბარგილიტური და პიროკლასტური ქანების საინჟინრო-გეოლოგიური რაიონის, მანგლისი-თბილისის ქვერაიონს.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ჰიდროგეოლოგიური ოლქის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების თბილისის წყალწნევიანი სისტემის ჰიდროგეოლოგიურ რაიონს;

5. საინჟინრო–გეოლოგიური პირობები

5.1 საკვლევი უბნის ფარგლებში გავრცელებული გრუნტების დახასიათება

საკვლევი უბნის ფარგლებში ჩატარებული საველე საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ფენები – საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები.

სგე 1 – ნაყარი – კენჭი და ღორღი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლები ასეთია: მოცულობითი წონა ρ=1.75 გ/სმ^3; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=1.80 კგ/სმ^2; პუნქტი დამუშავების სირთულების მიხედვით – პ-6/ა. კატეგორია II.

ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეუწონელია.

სგე 2 – თიხნარი – ყავისფერი, ნახევრად მყარი. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლები ასეთია: მოცულობითი წონა ρ=1.83 გ/სმ^3; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=2.10 კგ/სმ^2; შინაგანი ხახუნის კუთხე φ=18.0^0; შეჭიდულობა C=0.13კგ/სმ^2; დეფორმაციის მოდული E=160 კგ/სმ^2; პუნქტი დამუშავების სირთულების მიხედვით – პ-33/ვ. კატეგორია II.

ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის. სასურველია ფილა.

სგე 3 – კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების ჩანართებით 10%-მდე და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლები ასეთია: მოცულობითი წონა ρ=1.95 გ/სმ^3; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=6.00 კგ/სმ^2; შინაგანი ხახუნის კუთხე φ=42.0^0; შეჭიდულობა C=0.05კგ/სმ^2; დეფორმაციის მოდული E=430 კგ/სმ^2; პუნქტი დამუშავების სირთულების მიხედვით – პ-6/ვ. კატეგორია III.

ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის.

სგე 4 – ძირითადი ქანი – მოლურჯო-მონაცისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლები ასეთია: მოცულობითი წონა ρ=2.46 გ/სმ^3; სიმტკიცის ზღვარი წერტილოვანი დატვირთვით R_c =150.6 კგ/სმ^2; შინაგანი ხახუნის კუთხე φ=30.0^0; შეჭიდულობა C=10.0კგ/სმ^2; დეფორმაციის მოდული E=4000 კგ/სმ^2; პუნქტი დამუშავების სირთულების მიხედვით – პ-28/ბ. კატეგორია VI.

ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის.

5.2 საინჟინრო–გეოლოგიური პირობები

საკვლევი უბნის ფარგლებში გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია შესაბამის დანართში (დანართი 6).

გრუნტის წყალი ბურღვის პროცესში გამოვლინდა ორივე ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან 8.30 (ჭაბ.№1) და 8.00 მ-ის სიღრმეზე. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით არის სულფატურ-ქლოროვან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანი. იგი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეღწევადობის მიხედვი W_4 მარკის ბეტონის მიმართ და სუსტად აგრესიულია W_6 მარკის ბეტონების მიმართ. რკინა-ბეტონის ბეტონის კონსტრუქციების არმატურის მიმართ სუსტად აგრესიულია, მისი პერიოდულად დასველების პირობებში.

ვინაიდან თბილისის სეისმურობა ნორმატიული დოკუმენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ 01.01-09“ მიხედვით არის 8 ბალი და საკვლევი უბნის ფარგლებში გავრცელებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით არის II კატეგორიის, შესაბამისად უბნის სეისმურობაც იქნება 8 ბალი.

საშიში საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები და მოვლენები არ ფიქსირდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უბანი მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება თრიალეთის ანტიკლინური ქედის ეროზიულ-დენუდაციურ რელიეფს.
2. საკვლევი უბანი წარმოადგენს მდ. ტკვრის I ჭალისზედა ტერასას.

3.გეოტექტონიკური თვალსაზრისით ქ.თბილისი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას.

4.საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის საინჟინრო-გეოლოგიური ოლქის პალეოგენურ-ნეოგენური ასაკის კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი, ქვიშაქვოვან-სუბარგილიტური და პიროკლასტური ქანების საინჟინრო-გეოლოგიური რაიონის, მანგლისი-თბილისის ქვერაიონს.

5.საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ჰიდროგეოლოგიური ოლქის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების თბილისის წყალწნევიანი სისტემის ჰიდროგეოლოგიურ რაიონს.

6. გრუნტის წყალი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით არის სულფატურ-ქლოროვან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანი.

7. გრუნტის წყალს ახასიათებს საშუალო სულფატური აგრესია პორტლანდცემენტზე დამზადებული W_4 მარკის ბეტონის მიმართ და სუსტად გამოხატული აგრესიულობა W_6 მარკის ბეტონის მიმართ.

8. გრუნტის წყალი რკინა-ბეტონის ბეტონის კონსტრუქციების არმატურის მიმართ სუსტად აგრესიულია, მისი პერიოდულად დასველების შემთხვევაში.

9.საკვლევი უბნის სეისმურობა შეადგენს 8 ბალს;

10. საშიში საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები და მოვლენები არ ფიქსირდება

11. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას;

ინჟინერ-გეოლოგი /ა. ხარებავა /

დანართები

დანართი - 1

გეოლოგიური პირობითი ნიშნები

ბტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	**GTP** ***GeoTransProject***

გეოლოგიური პირობითი ნიშნები

№ №	გეოლოგ. ასაკი და გენეზისი	აღნიშვნა	ლითოლოგიური დახასიათება და ინდექსი
1	$Q_{4\text{-}t}$	 ①	ნაყარი - კენჭი და ღორღი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - ①
2	$Q_{4\text{-}d}$	 ②	თიხნარი - ყავისფერი, ნახევრად მყარი - ②
3	$Q_{4\text{-}a}$	 ③	კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების 10%-მდე ჩანართებით და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული - ③
4	P_2	 ④	ძირითადი ქანი - მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის - ④

გრუნტების მდგომარეობა



3.0 გრუნტის ნიმუში და აღების სიღრმე მ,

5.0 გრუნტის წყლის სინჯი და მისი აღების სიღრმე - მ

დანართი - 2

ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები

გტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	GTP GeoTransProject

ჭაბურღილის ლითოლოგიური ჭრილი

ჭ №1 ნიშნული - 414.39	ადგილმდებარეობა იხილეთ გეგმაზე	სიღრმე - 12.0მ

შრის ნომერი	ლითოლოგიური ჭრილი, კონსისტენცია ტენიანობა მასშტაბი 1:100	შრის საზღვრის სიღრმე - მ	გრ. წყლის დონე - მ: გამოჩენა	გრ. წყლის დონე - მ: დამყარება	ნიმუშის აღების სიღრმე-მ.	ლითოლოგიური დახასიათება და ინდექსი
1	2	3	4	5	6	7
1		1.0				ნაყარი - კენჭი და ღორდი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - (1)
2		8.30	8.30	4.40	6.0	თიხნარი - ყავისფერი, ნახევრად მყარი - (2)
3		10.20				კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების 10%-მდე ჩანართებით და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული - (3)
4		12.0			10.7-10.8	ძირითადი ქანი - მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის - (4)

გტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	**GTP** ***GeoTransProject***

ჭაბურღილის ლითოლოგიური ჭრილი

ჭ №2 ნიშნული - 415.30	ადგილმდებარეობა იხილეთ გეგმაზე	სიღრმე - 12.0მ

შრის ნომერი	ლითოლოგიური ჭრილი, კონსისტენცია ტენიანობა მასშტაბი 1:100	შრის სვეტის სიღრმე - მ	გრ. წყლის დონე - მ: გამოჩენა	გრ. წყლის დონე - მ: დამყარება	ნიმუშის აღების სიღრმე-მ.	ლითოლოგიური დახასიათება და ინდექსი
1	2	3	4	5	6	7
1		0.80				ნაყარი - კენჭი და ღორღი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - (1)
2		8.0	8.0	4.30		თიხნარი - ყავისფერი, ნახევრად მყარი - (2)
3		10.10				კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების 10%-მდე ჩანართებით და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული - (3)
4		12.0			11.3-11.4	ძირითადი ქანი - მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის - (4)

დანართი - 3

გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის ცხრილი

ბტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	**GTP** ***GeoTransProject***

④ გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობა - %-ში

№ №	ფრაქციები და მათი ზომები-მმ / ნიმუშის აღების ადგილი	თიხა - < 0.005	მტვერი - 0.005 - 0.05	ქვიშა					ხვინჭა			ღორღი			ლოდი		
				მტვრისებური - 0.05-0.10	წვრილი - 0.10-0.25	საშუალო - 0.25-0.50	მსხვილი - 0.5-1	ხრეშისებური - 1-2	მცირე - 2-4	საშუალო - 4-10	დიდი - 10-20	მცირე - 20-40	საშუალო - 40-100	დიდი - 100-200	მცირე - 200-400	საშუალო - 400-800	დიდი - >800
1	ჭ.№1	2.5		3.4	3.6	3.5	4.1	4.2	5.8	11.7	8.9	14.1	19.4	11.8	6.8	-	-
1	ჭ.№2	1.2		2.4	2.4	2.9	3.7	3.2	7.2	8.4	12.3	12.0	21.3	14.8	8.2	-	-
საშუალო მნიშვნელობები - %																	
ჯამური მნიშვნელობები - %																	

საშუალო დიამეტრი =

დირექტორი /ა. ხარებავა/



დანართი - 4

თიხური ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ცხრილები

გტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	**GTP** ***GeoTransProject***

② გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები

№ №	ნიმუშების აღების ადგილი	ფიზიკური მნიშვნელობები												მექანიკური მნიშვნელობები					
		სიმკვრივე			ტენიანობა			პლასტიურობა				ფორიანობა		კუმშვადობა		სიმტკიცე			
		ბუნებრივ პირობებში - ρ გ/სმ³	მინერალური ნაწილის - ρ_s გ/სმ³	ჩონჩხის - ρ_d გ/სმ³	ტენიანობა - W %	სრული ტენტევადობა - W_{sat} %	ტენტევადობის ხარისხი - Sr	დენადობის ზღვარი - W_L %	პლასტიურობის ზღვარი - Wp %	პლასტიურობის რიცხვი - I_p	კონსისტენციის მაჩვენებელი - I_L	ფორიანობა - n %	ფორიანობის კოეფიციენტი - e	დეფორმაციის მოდული - E კგ/სმ²	კუმშვადობის კოეფიციენტი - a სმ²/კგ	მიზიდული ხახუნის კუთხე - φ^o	მიზიდული ხახუნის კოეფიც - f	შეჭიდულობა - C კგ/სმ²	პირობითი წინაღობა - R_o კგ/სმ²
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	ჭაბ.№1 სიღრმე 2.9მ	1.83	2.71	1.42	29.3	33.7	0.87	42.4	28.4	14.0	+0.06	48	0.923	160	0.012	20.5	0.374	0.20	2.1
2	ჭაბ.№1 სიღრმე 5.4მ	1.80	2.71	1.39	29.6	35.2	0.84	42.6	29.4	12.2	+0.02	49	0.961	150	0.013	20.0	0.364	0.19	2.1
3	ჭაბ.№2 სიღრმე 7.3მ	1.86	2.70	1.42	31.1	33.4	0.93	43.8	29.1	14.7	+0.16	47	0.886	170	0.011	21.5	0.394	0.21	2.2
ნორმატიული მნიშვნელობა		1.83	2.71	1.41	30.0	34.1	0.88	42.9	29.0	13.6	+0.08	48	0.923	160	0.012	20.7	0.377	0.20	2.1
საანგარიშო მნიშვნელობა		1.83	2.71	1.41	30.0	34.1	0.88	42.9	29.0	13.6	+0.08	48	0.923	160	0.012	18.0	0.328	0.13	2.1

დირექტორი /ა. ხარებავა/

შპს "გეოტრანსპროექტი" GTP "GEOTRANSPROJECT" LTD 404957245

დანართი - 5

კლდოვანი ქანის სიმტკიცის მაჩვენებლები წერტილოვანი დატვირთვით

შპს „ჯეოინჟინირინგი“. საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15ა,
T. 231 17 89,231 17 88,231 17 84
E-mail: contact@geoengineering.ge

გამოცდის ოქმი № 2201

გაცემის თარიღი: 15.08.2022

კლდოვანი ქანების წერტილოვანი გამოცდა სფერული ინდენტორებით

დამკვეთი	შპს. „გეოტრანსპროექტი“
პროექტის დასახელება	მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ვანის ქუჩაზე
ხელშეკრულების №	GC-2201
ნიმუშის გამოცდის თარიღი	1.08.2022
ადგილმდებარეობა	თბილისი
ცდის მეთოდი	ГОСТ 24941.81

ჭაბურღილი №	სიღრმე,მ	ნიმუში №	მრღვევი ძალა ΔP,კგ	გახლეჩვის ფართი, Sp, სმ²	სიმტკიცის ზღვარი ხლეჩვაზე σp,კგ/სმ²	სიმტკიცე კუმშვაზე σ꜀, კგ/სმ²	ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ³	ქანის დასახელება
ბუნებრივ მდგომარეობაში								
BH-1 ნიმ1	10.7-10.8	1	278.00	59.40	4.91	103.20	2.45	ქვიშაქვა
BH-2 ნიმ1	11.3-11.4	1	328.00	31.05	9.43	197.99	2.46	ქვიშაქვა

შ.პ.ს. „ჯეოინჟინირინგის“ საგამოცდო ლაბორატორიის ხელმძღვანელი: რ. ყაველაშვილი

დანართი - 6

ბრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი

ბტპ გეოტრანსპროექტი	ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა	**GTP** ***GeoTransProject***

გრუნტების ძირითად ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები

№ №	გრუნტების მახასიათებლები / გრუნტების დასახელება	მოცულობითი წონა - ρ გ/სმ^3	ტენიანობა - W %	ტენტევადობის ხარისხი - Sr	პლასტიურობის რიცხვი - I_p	კონსისტენციის კოეფიციენტი- I_L	ფორიანობის კოეფიციენტი - e	დეფორმაციის მოდული - E კგ/სმ^2	კუმშვადობის კოეფიციენტი - a სმ^2/კგ	შინაგანი ხახუნის კუთხე - φ^o	შინაგანი ხახუნის კოეფიც - f	ხვედრითი შეჭიდულობა - C კგ/სმ^2	პირობითი წინაღობა - Ro /Rc კგ/სმ^2	დამუშავების სირთულის ჯგუფები და კატეგორია -	საპროექტო ქანობი -
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	ნაყარი - კენჭი და ღორღი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - ①	1.75	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.80	პ. 6-ა II	1:1.5
2	თიხნარი - ყავისფერი, ნახევრად მყარი - ②	1.83	30.0	0.88	13.6	+0.08	0.923	160	0.012	18	0.328	0.13	2.1	პ. 33-ვ II	1:1.5
3	კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების 10%-მდე ჩანართებით და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული - ③	1.95	-	-	-	-	-	430	-	42	0.669	0.05	6.0	პ. 6-ვ III	1:1.5
4	ძირითადი ქანი - მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის - ④	2.46	-	-	-	-	-	4000	-	30	0.500	10.0	150.6	პ. 28-ვ VI	1:1.5

დანართი - 7

ბრუნტის წყლის ქიმიური შემადგენლობა და აბრესიულობა

	შპს „ჯეოინჟინირინგი“ საგამოცდო ლაბორატორია
	მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15ა, T. 231 17 89, 231 17 88, 231 17 84 E-mail: contact@geoengineering.ge
გამოცდის ოქმი № 2201	
გაცემის თარიღი: 15.08.2022 წელი	
პროექტის დასახელება GC-2201	მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ვანის ქუჩაზე
დამკვეთი	შ.პ.ს „გეოტრანსპროექტი"
ადგილმდებარეობა	თბილისი

გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

№	ჭაბურღილი	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	განზომილება	შემცველობა 1 ლიტრში								PH
				ანიონები					კათიონები			
				მშრალი ნაშთი	CO_3^{--}	HCO_3^{--}	CL^-	SO_4^{--}	Ca^{++}	Mg^{++}	Na^++K^+	
1	1	6.0	მგ-ლ	3101.48		549	375.88	1479.32	628	104.58	239.2	7.1
			მგ-ექვ		0.00	9.00	10.60	30.80	31.34	8.60	10.46	
			% მგ-ექვ		0.00	17.85	21.03	61.11	62.18	17.07	20.75	

„ჯეოინჟინირინგის" საგამოცდო ლაბორატორიის ხელმძღვანელი: რ. ყაველაშვილი

წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

რიგითი №	ჭაბურღილის №	ნიმუშების აღების სიღრმე, მ	აგრესიულობის მაჩვენებლები	წყლის აგრესიულობის ნაგებობებისადმი					
				განლაგებულ ქანებში $K_ფ$>0.1მ/დღ.ღ			განლაგებულ ქანებში $K_ფ$<0.1მ/დღ.ღ		
				ბეტონის მარკა წყალშეღწევადობის მიხედვით					
				W4	W6	W8	W4	W6	W8
1	1	6.0	ბიკარბონატული სიხისტე, მგ–ექვ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			წყალბადიონის მაჩვენებელი	არა	არა	არა	არა	არა	არა
			აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ	-	-	არა	-	-	არა
			მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ	-	-	-	-	-	-
			მაღალი ტუტიანობის შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატები ბეტონებისათვის						
			პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76)	საშ.	სუსტი	არა	სუსტი	არა	არა
			პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76) კლინკერის შემცველობით C_3S არაუმეტეს 65%-ისა, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%	არა	არა	არა	არა	არა	არა
			სულფატმედეგო ცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა

წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

რიგითი №	ჭაბურღილის №	ნიმუშების აღების სიღრმე, მ	წყლის ქლორიდული აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის არმატურაზე		ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1მ/დღე-ღამე
			მუდმივად წყალში	პერიოდულად დასველებით	
1	1	6.0	არა	სუსტი	–

„ჯეოინჟინირინგის" გეოტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი: რ. ყაველაშვილი

დანართი - 8

ჭაბურღილების განლაგება საკვლევ უბანზე



ქობილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.008.006) საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

დანართი - 9

გრძივი გეოლოგიური ჭრილი

ლითოლოგიური ჭრილი
1:200
ჭრილი 1-1'



①	ნაყარი - კენჭი და ღორდი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - ①
②	თიხნარი - ყავისფერი, ნახევრად მყარი - ②
③	კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების 10%-მდე ჩანართებით და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული - ③
④	ძირითადი ქანი - მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის - ④

შ პ ს
„გეოტრანსპროექტი“

G T P
401 952 115

L T D
„Geotransproject”

საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზირი 142. ტელ: 35-58-30, 8-92-52-82-82, 8-99-29-31-50.
Georgia, Tbilisi, Tsereteli av. # 142, Tel: 35-58-30, 8-92. 52-82-82, 8-99. 29-31-50

ქ.თბილისში ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 01.13.06.008.006) საინჟინრო–გეოლოგიური გამოკვლევა

№	შენიშვნა	პასუხი
1	კვლევის მიხედვით ს/გეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ამა წლის ნოემბერში (წერია, რომ ანგარიში შედგენილ იქნა. სამუშაოები როდის ჩატარდა არ არის მითითებული, ამიტომ ვივარაუდეთ ნოემბერი), ხოლო შპს „ჯეოინჟინერინგის“ კლდოვანი ქანების საგამოცდო უწყისში გაცემის თარიღად მითითებულია ამა წლის 15 აგვისტო (15.08.2022) - ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციაა.	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა შპს "თლთ"-ის მიერ ჩატარებული იქნა აგვისტოს თვეში. ანგარიში ჩვენს მიერ შედგენილი იქნა ნოემბრის თვეში (შეკვეთის შესაბამისად)

სხვა ყველა შენიშვნა შესწორებულია

პატივისცემით,

დირექტორი ა.ხარებავა / /

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 01.13.06.008.006) მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შედეგები

შპს „თ.ლ.თ"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2022 წლის დეკემბერში შემოწმებულ იქნა ქ. თბილისში, ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 01.13.06.008.006) მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 01.13.06.008.006) მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოტრანსპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2022 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ა.ხარებავა. მის მიერ ჩატარებულია საველე და ლაბორატორიული სამუშაოები. ხოლო გამონამუშევ-რებიდან აღებული გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები და კლდოვანი გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულებულია შპს "ჯეოინჟინერინგი"-ს საგამოცდო ლაბორატორიაში რ. ყაველაშვილის მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 7 გვ;
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ;
3. უბნის ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით---------- 1 გვ;

4. გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობა ---------- 1 გვ;
5. თიხოვანი გრუნტების კვლევის კრებსითი ცხრილი---------- 1 გვ;
6. კლდოვანი ქანის სიმტკიცის მაჩვენებლები წერტილოვანი დატვირთვით 1 გვ;
7. გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი---------- 1 გვ;
8. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები ---------- 2 გვ;
9. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც;
10. უბნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 1 ფურც

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. შენობა იქნება კარკასული, ბლოკის შევსებით. საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება დამოკიდებულია უბნის საინჟინრო გეოლოგიურ პირობებზე. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV.

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება თრიალეთის ანტიკლინური ქედის ეროზიულ-დენუდაციურ რელიეფს და მდებარეობს მდ. მტკვრის I ჭალისზედა ტერასის ფარგლებში. აბსოლუტური ნიშნულები მერყეობს 414.0–415.0 მ-ის ფარგლებში.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად და ჰიდროგეო-ლოგიური პირობების შესაფასებლად, უბანზე გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი – სიღრმით 12მ, თითოეული, მთლიანი მოცულობით 24,0 გრძ. მეტრი. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებულია დაუშლელი სტრუქტურის გრუნტის 5 ნიმუში, დაშლილი სტრუქტურის გრუნტის 2 ნიმუში და გრუნტის წყლის 1 სინჯი, რომლებზეც ჩატარებულია შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში, გამოყოფილი იქნა შემდეგი ფენები:

1. **ფენა 1 – ნაყარი გრუნტი** - tQ_{IV} - კენჭი და ღორღი, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი. მისი სიმძლავრე 0,8-1,0 მ-ის ფარგლებშია. ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეუწონელია.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=1.75 გ/სმ^3;
- საანგარიშო წინაღობა R_0=1.8კგძ/სმ^2;

2. **ფენა 2 – სბე I - თიხნარი** – ყავისფერი, ნახევრად მყარი, ღორღის და ხვინჭის 10%-მდე ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 7.2-7.3 მ-ის ფარგლებშია. ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის. სასურველია ფილა.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=1.83 გ/სმ^3;
- ხვედრითი შეჭიდულობა C= 0.13კგ/სმ^2
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=18^0
- დეფორმაციის მოდული 160კგძ/სმ^2;
- საანგარიშო წინაღობა R_0=2.1კგძ/სმ^2;

3. **ფენა 3 – სბე II** – კენჭი (45-50%) და ხრეში (25-30%), კაჭრების ჩანართებით 10%-მდე და ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული. ფენის სიმძლავრე 1.9-2.1მ. ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=1.95 გ/სმ^3;
- ხვედრითი შეჭიდულობა C= 0.05კგ/სმ^2
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=42^0
- დეფორმაციის მოდული 430კგძ/სმ^2;
- საანგარიშო წინაღობა R_0=6.0კგძ/სმ^2;

4. **ფენა 4 – სბე III - ძირითადი ქანი** – მოლურჯო-მონაცისფრო, სუსტად გამოფიტული და დანაპრალიანებული ქვიშაქვები, საშუალო სიმტკიცის. ამ ფენის გამოყენება ნაგებობების საფუძვლად მიზანშეწონილია ნებისმიერი ტიპის ფუნდამენტებისათვის.

გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

- სიმკვრივე ρ=2.46 გ/სმ^3;
- სიმტკიცის ზღვარი წერტილოვანი დატვირთვით Rc=150.6კგ/სმ^2;

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=30^0$
- შეჭიდულობა C=10.0კგ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=4000 კგ/სმ^2;

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი ბურღვის პროცესში გამოვლინდა ორივე ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან 8.30 (ჭაბ.№1) და 8.00 მ-ის სიღრმეზე. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით არის სულფატურ-ქლოროვან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანი. იგი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეღწევადობის მიხედვი W4 მარკის ბეტონის მიმართ და სუსტად აგრესიულია W6 მარკის ბეტონების მიმართ. რკინა-ბეტონის ბეტონის კონსტრუქციების არმატურის მიმართ სუსტად აგრესიულია, მისი პერიოდულად დასველების პირობებში.

ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, სეისმური თვისებების მიხედვით გრუნტები მიეკუთვნება II კატეგორიას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.17.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება. ამდენად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

დასკვნა

ქ. თბილისში, ვანის ქუჩის მიმდებარედ 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 01.13.06.008.006) მშენებლობისთვის, გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. მცირე შენიშვნები ავტორის მიერ მიღებულია მხედველობაში და შეტანილია სათანადო

შესწორებები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი: /ია მშვიდობაძე/

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	**გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა.**საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:** "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020.**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. ალებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

ქ.თბილისი

09/06/2022 წელი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ია მშვიდობაძეს პ/ნ 01024023058 მასზედ, რომ იგი, 2019 წლის აპრილიდან ნამდვილად მუშაობს შპს ,,რეალექსპერტი"-ში (ს/კ 404470434), საინჟინრო გეოლოგიური სფეროს, ინსპექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შპს ,,რეალექსპერტის"

ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: /კახაბერ ვარძიელი/



მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board (Protocol № 3 of 28.05.2003) 04 06 №5

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан

в том, что он в 19 79 году поступил в

и в 19 84 году окончил по курсу

по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П. Город 19 84 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Госзнака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ. №6 (ს/კ: 01.13.06.008.006)

კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი

ინჟინერ-კონსტრუქტორი	(ზ. კუტალია)
დამკვეთი	(პ. ლომთათიძე)

თბილისი 2022

ფურცლის დასახელება	ფურც. №
ნახაზების სარჩევი	კ-1
კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი; ზოგადი მითითებები	კ-2
მონოლითური ხიმინჯებისა (მხ) და ლიფტის თანაორმოს (ლთო) გეგმა	კ-3
მონოლითუეი ხიმინჯები მხ-1 – მხ-5-ის არმირება	კ-4
მხ-6-ის არმირება; მხ-1 – მხ-6-ის სპეციფიკაცია; სამონტაჟო საკიდი სს-1	კ-5
მონოლითური როსტვერკებისა (მრკ) და საძირკვლის კოჭების (მსკ) საყალიბო გეგმა	კ-6
ლიფტის თანაორმოს (ლთო) არმირება; ლთო-სა და მრკ-ს სპეციფიკაცია	კ-7
მონოლითური საძირკვლის კოჭების (მსკ) გეგმა ნიშნ. -3.10 (ქვედა შრის დამატებითი არმირება)	კ-8
მსკ-ს ზედა შრის დამატებითი არმირება ნიშნ. -3.10	კ-9
ჭრილები: 5-5 – 35-35	კ-10
ჭრილები: 36-36 – 67-67	კ-11
მონოლითური საძირკვლის კოჭების (მსკ) სპეციფიკაცია	კ-12
არმატურის ნაშვერების გეგმა	კ-13
კვანძი კვ-1–კვ-9; სვეტების არმატურის ნაშვერების სპეციფიკაცია	კ-14
ჭრილები: 1-1;–3-3; კვანძები: კვ-ა, კვ-ბ და კვ-ბ*; მონოლ. კედლების არმატურის ნაშვერების სპეციფიკ.	კ-15
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: -3.10 – -0.10-ს შორის	კ-16
მსვ 0-1-ის – მსვ 0-6-ის არმირება	კ-17
მსვ 0-7-ის – მსვ 0-12-ის არმირება	კ-18
მსვ 0-13-ის – მსვ 0-19-ის არმირება	კ-19
მსვ 0-1 – მსვ 0-11-ის სპეციფიკაცია	კ-20
მსვ 0-12 – მსვ 0-19-ის სპეციფიკაცია; მკდ 0-1 (ჭრილები 1-1 – 4-4; კვანძი კვ-1)	კ-21
მონოლითური რიგელების ქვედა შრის დამატებითი არმირება ნიშნ. -0.10	კ-22
მონოლ. რიგელების ზედა შრის დამატებითი არმირება ნიშნ. -0.10; რიგელების არმირების პრინციპი	კ-23
ჭრილები: 1-1 – 26-26; რიგელების სპეციფიკაცია ნიშნ. -0.10	კ-24
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-1-ის ქვედა შრის არმირება ნიშნ. -0.10; ჭრილები: 1-1 და 2-2	კ-25
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-1-ის ზედა შრის არმირება ნიშნ. -0.10; მფ-1-ის სპეციფიკაცია	კ-26
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: -0.10 – 4.90-ს შორის	კ-27
მსვ 1-1-ის – მსვ 1-6-ის არმირება	კ-28
მსვ 1-7-ის – მსვ 1-12-ის არმირება	კ-29
მსვ 1-13-ის – მსვ 1-18-ის არმირება	კ-30
მსვ 1-1 – მსვ 1-8-ის სპეციფიკაცია	კ-31
მსვ 1-9 – მსვ 1-18-ის სპეციფიკაცია	კ-32
მკდ 1-1 (ჭრილები 1-1 – 3-3)	კ-33
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ. 4.90 (ქვედა შრის დამატებითი არმირება)	კ-34
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ. 4.90 (ზედა შრის დამატებითი არმირება)	კ-35
ჭრილები: 1-1 – 39-39; რიგელების სპეციფიკაცია ნიშნ. 4.90	კ-36
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-2-ის ქვედა შრის არმირება ნიშნ. 4.90; ჭრილები: 1-1 და 2-2	კ-37
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-2-ის ზედა შრის არმირება ნიშნ. -4.90; მფ-2-ის სპეციფიკაცია	კ-38
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 4.90 – 8.20-ს შორის	კ-39
მსვ 2-1-ის – მსვ 2-6-ის არმირება	კ-40
მსვ 2-7-ის – მსვ 2-12-ის არმირება	კ-41
მსვ 2-13-ის – მსვ 2-18-ის არმირება	კ-42
მსვ 2-1 – მსვ 2-10-ის სპეციფიკაცია	კ-43
მსვ 2-11 – მსვ 2-18-ის სპეციფიკაცია; მკდ 3-1 (ჭრილიები: 1-1; 1□1); კვანძი კვ-1	კ-44
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ: 8.20 და 11.50 (ქვედა შრის დამატებითი არმირება)	კ-45
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ: 8.20 და 11.50 (ზედა შრის დამატებითი არმირება)	კ-46
ჭრილები: 1-1 – 41-41; რიგელების სპეციფიკაცია ნიშნ: 8.20 და 11.50	კ-47
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-3-ის ქვედა შრის არმირება ნიშნ: 8.20; 11.50; 14.80; 18.10	კ-48
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-3-ის ზედა შრის არმირება ნიშნ: 8.20; 11.50; 14.80; 18.10	კ-49
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 8.20 – 11.50-ს შორის	კ-50
მსვ 3-1 – მსვ 3-6-ის არმირება	კ-51
მსვ 3-7 – მსვ 3-12-ის არმირება	კ-52
მსვ 3-13; მსვ 3-14 და მსვ 3-15-ის არმირება; მსვ 3-9 – მსვ 3-15-ის სპეციფიკაცია	კ-53
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 11.50 – 14.80-ს შორის	კ-54
მსვ 4-1 – მსვ 4-6-ის არმირება	კ-55
მსვ 4-7 – მსვ 4-12-ის არმირება	კ-56

მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ: 14.80 და 18.10 (ქვედა შრის დამატებითი არმირება)	კ-58
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ: 14.80 და 18.10 (ზედა შრის დამატებითი არმირება)	კ-59
ჭრილები: 13-13 – 41-41; რიგელების სპეციფიკაცია ნიშნ: 14.80 და 18.10	კ-60
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 14.80 – 18.10-ს შორის	კ-61
მსვ 5-1 – მსვ 5-6-ის არმირება	კ-62
მსვ 5-7 – მსვ 5-12-ის არმირება	კ-63
მსვ 5-1 – მსვ 5-15-ის სპეციფიკაცია	კ-64
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 18.10 – 21.4-ს შორის	კ-65
მსვ 6-1 – მსვ 6-6-ის არმირება	კ-66
მსვ 6-7, მსვ 6-8 და მსვ 6-9-ის არმირება; მსვ 6-1 – მსვ 6-9-ის სპეციფიკაცია	კ-67
მონოლითური რიგელების ქვედა შრის დამატებითი არმირება ნიშნ: 21.40 და 24.70	კ-68
მონოლითური რიგელების ზედა შრის დამატებითი არმირება ნიშნ: 21.40 და 24.70	კ-69
ჭრილები: 1-1 – 23-23; რიგელების სპეციფიკაცია ნიშნ: 21.40 და 24.70	კ-70
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-4-ის ქვედა შრის არმირება ნიშნ: 24.70 და 28.00	კ-71
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-4-ის ზედა შრის არმირება ნიშნ: 24.70 და 28.00	კ-72
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 21.40 – 24.7-ს შორის	კ-73
მსვ 7-1 – მსვ 7-7-ის არმირება	კ-74
მსვ 7-1 – მსვ 7-7-ის სპეციფიკაცია	კ-75
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 24.70 – 28.00-ს შორის	კ-76
მსვ 8-1 – მსვ 8-8-ის არმირება	კ-77
მსვ 8-1 – მსვ 8-8-ის სპეციფიკაცია; მკდ 3-1 და მკდ 3-2 (ჭრილები: 1-1, 1 -1 და 2-2; კბანძი კვ-1)	კ-78
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ. 28.00 (ქვედა შრის დამატებითი არმირება)	კ-79
მონოლითური რიგელების გეგმა ნიშნ. 28.00 (ზედა შრის დამატებითი არმირება)	კ-80
ჭრილები: 1-1 – 20-20; რიგელებისის სპეციფიკაცია ნიშნ. 28.00; ლვანძი კვ-1; ჭრილი ა-ა; ჩდ-1	კ-81
მონოლითური კონსტრუქციების გეგმა ნიშნ: 28.00 – 31.30-ს შორის	კ-82
მსვ 9-1 და მსვ 9-2; ჭრილები: 1-1 და 2-2; კვანძი კვ-1; მპს-1სა და მფ-ის სპეციფიკაცია	კ-83
მონოლითური რიგელები ნიშნ. 31.30	კ-84
მონოლითური გადახურვის ფილა მფ-5	კ-85
პარაპეტის მონოლითური სარტყელი პმს-2 ნიშნ. 32.05	კ-86
მონოლითური კიბეები: მკბ-1 (ჭრილი □□) და მკბ-2 (ჭრილი □□)	კ-87
მონოლ. კიბის მარშები: მკბ-1; მკბ-1; მკბ-3 და მკბ-4-ის არმირება	კ-88
მონოლ. კიბის მარშები: მკბ-5; მკბ-6; მკბ-7 და მკბ-8-ის არმირება	კ-89
მკბ-1 და მკბ-2-ის სპეციფიკაცია	კ-90
ქვაბული	კ-91

შ პ ს "გრაფიკ სტუდია"							
დამკვეთი		პ. ლომთათიძე	პროექტის დასახელება	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისი, ვანის ქ. №6 (ს/კ: 01.13.06.008.006)			
არქიტექტორი		ზ. ჭიდოლაშვილი	ნახაზის დასახელება	ნახაზების სარჩევი			
კონსტრუქტორი		ზ. კუტალია		სტადია მდ	ფურცელი კ-1	ფურცლები	თარიღი 2022 წ.

კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი

1. პროექტის "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი" მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ. №6 (ს/კ: 01.13.06.008.006) კონსტრუქციული ნაწილი მოიცავს მუშა ნახაზების კომპლექტს და შესრულებულია არქიტექტურული პროექტის, საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემებისა და ტოპოგანაზომის საფუძველზე, საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით.
2. საძართველოს სეისმური დარაიონების და გეოლოგიური მონაცემების მიხედვით სამშენებლო მოედნის ბალიანობა განისაზღვრება 8 ბალით.
3. ვარკეთილში, სადაც დაპროექტებული შენობა უნდა აშენდეს, თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვაა 0.50 კპა, ქარის ნორმატიული დატვირთვა 0.60 კპა; ხოლო ბრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღიდე – 0 სმ;
4. შენობა ხიმინჯებით დაფუძნებულია სუსტად გამოფიტულ დანაპრალიანებულ ქვიშაქვებში, რომლის მახასიათებლებია: პირობითი საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე – R □ □150.6 კგძ/სმ²; შინაგანი ხახუნის კუთხე – φ=30.0°; ხვედრითი შეჭიდულობა – □□10.0კგძ/სმ²; დეფორმაციის მოდული – □=4000 კგძ/სმ²;
5. ფარდობით ნიშნულად 0.00 მიჩნეულია შენობის I სართულის იატაკის ზედაპირის დონე, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 415.35 მ ბალტიის ზღვის დონიდან;
